ადრესატი:

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**08-37232937**
თარიღი: **20/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: დავით ჭაკნელიძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც

არის საკრებულოს წევრი: აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს

წევრი: "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო".

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში) "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", - მაჟორიტარული წესით.

საანგარიშო პერიოდი: 01.10.2022წ. – 01.10.2023 წ.

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 13

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება 13

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი 38

საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება **35**

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის

არსებობის შემთხვევაში): **2**

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): **1**

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა **19**

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება **19**

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები: ხრიალეთის უბნის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფის პროექტი, სოფ. სოფ. შრომის ხრიალეთის დასახლებაში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის პროექტი, კომისიის დეპუტატების ცვლილებების წინადადება, მდგრადი ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილებების პროექტი (2- მუხლი).

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს **3** დადგენილება, საკრებულოს **2** განკარგულება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი; 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოც. დახმარების გაცემისა და მიღების წესი; მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მართვის გაუმჯობესების პროექტები.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა **42**

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა **150**

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: სოციალური და საყოფაცხოვრებო მიმართულების პრობლემები; ინფრასტრუქტურის მოწყობა (გზები, სასმელი წყალი), სტიქიით დაზარალებულთათვის დახმარების გაწევა.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): შუამდგომლობა მოსახლეობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების წინადადებები, რეკომენდაციები და დასკვნები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა; დასრულდა და სამუშაო სტადიაშია საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, დასრულდა ორმეთი-კონჭკათის მიმართულების გზის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ფაქტობრივი განხორციელება დაიწყება უახლოეს პერიოდში, მოეწყო 2-კმ-ზე მეტი ბეტონის გზა, განხორციელდა საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია-აღდგენა.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობა (3-ჯერ); საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები: ამაღლდა ადმინისტრაციული ერთეულების (ურეკი, შრომა)დასახლებული უბნების ინფრასტრუქტურის ობიექტები (შიდა სასოფლო გზები, მაღალი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, გარე განათება) უზრუნველყოფის მაჩვენებლები, გაიზარდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების მაჩვენებლები, გარკვეული პოზიტიური ძვრებია კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებლების მატების მიმართულებით

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი

პრიორიტეტების შესახებ: ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენის, რეაბილიტაციისა და ახალის მშენებლობის პროექტების უფრო სწრაფი ტემპებით განხორციელება; სტიქიით დაზარალებულთათვის დახმარების პროცესების დაჩქარება.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 16 ოქტომბერი 2023 წელი.

ანგარიშის წარდგენის თარიღი: 18 ოქტომბერი 2023 წელი.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე